სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

თებერვალი №4

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საბაჟო-სალაროდ და საბაჟო კანონმდებლობაში ტერმინებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22

T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi orjer, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4

ISSN 1987-9156

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-44

saqarTvelos erovnuli banki / **National Bank of Georgia** -------- 45-47

auqcioni / **Auqcion** ---------- 48

kiTxva - pasuxi / **Questions and answers** ---------- 49-56

gadasaxadebi #4, 2019

GADASAKHADEBI #4, 2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997, გვ. 126) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

ა) „ტ^{4}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ^{4}) პალიატიური მზრუნველობა – მულტიდისციპლინური მიდგომით მომსახურება, რომელიც ტკივილისა და სხვა ფიზიკური, ფსიქოსოციალური, სულიერი პრობლემების ადრეული გამოვლენის, სწორი შეფასების, მკურნალობის, სულიერი თანადგომის, ტანჯვის პრევენციისა და შემსუბუქების გზით აუმჯობესებს ქრონიკული დაავადების ან/და სიცოცხლისთვის სახიფათო დაავადების მქონე პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების ცხოვრების ხარისხს;“;

ბ) „ტ^{5}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ^{6}“ და „ტ^{7}“ ქვეპუნქტები:

„ტ^{6}) ჰოსპისური მზრუნველობა – პალიატიური მზრუნველობის ნაწილი, განკუთვნილი ინკურაბელური პაციენტებისთვის, რომელთა სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა შეზღუდულია. ჰოსპისურ მზრუნველობას ახორციელებს პალიატიური მზრუნველობის სპეციალიზებული გუნდი. საჭიროებისამებრ, იგი ხორციელდება როგორც ჰოსპისში, ისე ბინაზე, ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებაში ან მულტიპროფილურ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში. ჰოსპისური მზრუნველობის დროს დაავადების განკურნებაზე ორიენტირებული სამედიცინო ჩარევები აღარ გამოიყენება და ხორციელდება მხოლოდ დაავადების სიმპტომთა მართვისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული სამედიცინო ჩარევები. ბავშვთა მიმართ ჰოსპისური მზრუნველობის დროს შესაძლებელია სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა არ შეიზღუდოს და პარალელურად განხორციელდეს ძირითადი დაავადების მკურნალობაზე ორიენტირებული ჩარევები;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ტ[7]) ხანგრძლივი მოვლა – მომსახურებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ქრონიკული დაავადების ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო საჭიროების დაკმაყოფილება, როდესაც ამ პირს ხანგრძლივად არ შეუძლია თავის მოვლა;“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 63[2] მუხლი:

„**მუხლი** 63[2]

1. პალიატიური მზრუნველობის, ჰოსპისური მზრუნველობისა და ხანგრძლივი მოვლის სამედიცინო საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით (რეგლამენტებით) და მისი განხორციელება ექვემდებარება სამინისტროსთვის სავალდებულო შეტყობინებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტი (რეგლამენტები) მიიღება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“.

3. 154-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოს ამ კანონის 63[2] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტის (რეგლამენტების) მიღება.“.

მუხლი 2

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს 2019 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 19 თებერვალი 2019 წ.

N4277-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №75, 27.12.2010, მუხ. 461) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

4. დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.“;

ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. აკრძალულია დასაქმებულისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და მის მიმართ ნებისმიერი სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ დასაქმებულმა დისკრიმინაციისაგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.“.

2. მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამსაქმებელი უფლებამოსილია მოიპოვოს კანდიდატის შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც არ არის დაკავშირებული სამუშაოს შესრულებასთან და არ არის საჭირო კანდიდატის მიერ კონკრეტული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობის შესაფასებლად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთანავე, დამსაქმებელს უფლება არ აქვს, კანდიდატს მოსთხოვოს მისი რელიგიის, რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, ორსულობის შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არის ამ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული განსხვავების აუცილებლობა.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შრომითი ხელშეკრულების დადებამდე დამსაქმებელი ვალდებულია კანდიდატს გააცნოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დებულებები პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის და მისი დაცვის საშუალებების შესახებ, მიიღოს ზომები სამუშაო ადგილზე პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესში, კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 19 თებერვალი 2019 წ.

N4279-IIს

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №90

2019 წლის 19 თებერვალი, ქ. თბილისი

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განისაზღვროს შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (CPV კოდები) მიხედვით კლასიფიკატორის კოდები (დანართი), რომელთა ფარგლებშიც, საქართველოს მთავრობის/პრემიერ-მინისტრის კონტროლს დაქვემდებარებული/ ანგარიშვალდებული საბიუჯეტო ორგანიზაციების, საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების, ასევე იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომელთა ხელმძღვანელსაც ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საჭიროებს საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული სუბიექტების გარდა:

ა) სხვა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, გარდა ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციებისა, უზრუნველყონ ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს მთავრობისათვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა;

ბ) მუნიციპალიტეტებმა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა უზრუნველყონ ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა.

მუხლი 3

ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლებით განსაზღვრულმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა წინასწარი თანხმობის მისაღებად წარსადგენ ან ინფორმირების მიზნით გაგზავნილ დოკუმენტაციას უნდა დაურთონ:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის განხორციელების მიზნობრიობისა და აუცილებლობის დასაბუთება;

ბ) ბაზრის კვლევის ამსახველი ინფორმაცია ამავე დადგენილებით განსაზღვრული კლასიფიკატორის კოდში შემავალი შესყიდვის თითოეული ობიექტისათვის ცალ-ცალკე, რომელიც აერთიანებს მინიმუმ სამი პოტენციური მიმწოდებლის შეთავაზებას. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლების მინიმალური რაოდენობის გამოკითხვის შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესაბამის დოკუმენტაციაში (სამართლებრივი აქტის პროექტის განმარტებითი ბარათი/ინფორმაცია) უნდა დაასაბუთოს ბაზრის კვლევაში მინიმუმ სამი პრეტენდენტის მონაწილეობის შემაფერხებელი გარემოებები;

გ) დაზიანებული/ამორტიზებული შესყიდვის ობიექტის შეცვლის მიზნით გამოსაცხადებელი შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შემთხვევაში – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მომზადებული დეფექტური აქტი/დასკვნა;

დ) ადმინისტრაციული შენობის აგების/ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების მიზნით გამოსაცხადებელი შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შემთხვევაში, რომელიც მოიცავს ამ დადგენილების დანართით განსაზღვრულ კლასიფიკატორის კოდებში შემავალი ობიექტების შესყიდვას, შესაბამისი შესყიდვის საჭიროება და მისი დასაბუთება;

ე) ამ დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დასაბუთება საჭიროებისამებრ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 4

1. ამ დადგენილების პირველი მუხლითა და მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საქართველოს მთავრობისგან წინასწარი თანხმობის მისაღებად წარსადგენ ან საქართველოს მთავრობისთვის ინფორმირების მიზნით გაგზავნილ დოკუმენტაციას განიხილავს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (დოკუმენტაცია მთავრობას წარედგინება შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამის მეშვეობით), რომელიც:

ა) უფლებამოსილია, ფასების ადეკვატურობის დადგენის მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ტექნიკური ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნების კონკურენტუნარიანობის კვლევა;

ბ) ინფორმირების მიზნით წარდგენილ დოკუმენტაციაზე გასცემს რეკომენდაციას (დადებითი, უარყოფითი ან შენიშვნებით), რომელიც არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ამ დადგენილების მე-3 მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის განხილვის ვადა შეადგენს 10 სამუშაო დღეს მისი განსახილველად რეგისტრაციის მომენტიდან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში უარყოფითი ან შენიშვნებით რეკომენდაციის გაცემის შემდეგ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მეშვეობით შემსყიდველს უკან უბრუნებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, თავიდან წარმოადგინოს შენიშვნების შესაბამისად გადამუშავებული შესათანხმებელი ინფორმაცია დადგენილი წესით, რაც გულისხმობს ინფორმაციის განხილვას რეგისტრაციიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. ინფორმირების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე გაცემული ნებისმიერი რეკომენდაციის ასლი ეგზავნება სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

5. განსაკუთრებული საჭიროებისას, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით, ერთჯერადად შესაძლებელია ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი განხილვის ვადის გაგრძელება 3 სამუშაო დღით, რაც უნდა ეცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას.

6. ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებით დადგენილი ვადის განმავლობაში სხვაგვარი გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, საკითხი მიიჩნევა განხილულად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 5

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს, რომ დადგენილების პირველ მუხლში მითითებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული CPV კოდების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების უფლება მიეცეთ მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის მიღების შემდგომ.

მუხლი 6

ეს დადგენილება ვრცელდება ელექტრონული საშუალებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე, გარდა:

ა) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვებისა;

ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნის მთავრობების (დონორები) მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვებისა;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახსრებიდან განსახორციელებელი შესყიდვებისა;

დ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განსახორციელებელი შესყიდვებისა;

ე) საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ განსახორციელებელი შესყიდვებისა;

ვ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსახორციელებელი შესყიდვებისა.

მუხლი 7

1. ამ დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის მიერ წინასწარი თანხმობის გაცემის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი განსახილველად წარმოედგინება საქართველოს მთავრობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციები ამ დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად მიიღებენ დადებით რეკომენდაციას.

2. იმ შემთხვევაში, თუ ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული შემსყიდველი ორგანიზაციისათვის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ გაიცა უარყოფითი ან შენიშვნებით რეკომენდაცია, რასაც არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაცია, განკარგულების პროექტი განსახილველად წარმოედგინება საქართველოს მთავრობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთებული არგუმენტაციით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. ამ დადგენილების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, განკარგულების პროექტი განსახილველად წარმოუდგინოს საქართველოს მთავრობას წინასწარი თანხმობის მისაღებად.

მუხლი 8

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

დანართი

კოდი	**დასახელება**
16100000	სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დანიშნულების მანქანა-დანადგარები ნიადაგის მოსამზადებლად ან კულტივირებისათვის
16300000	მოსავლის ასაღები მანქანები
16500000	ავტომტვირთველი ან თვითმცლელი ტრაილერები და ნახევარტრაილერები სოფლის მეურნეობისათვის
16600000	სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო დანიშნულების მანქანა-დანადგარები
16700000	ტრაქტორები
30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
31100000	ელექტროძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორები
32200000	რადიოტელეფონის, რადიოსატელეგრაფო, რადიო და ტელემაუწყებლობის აპარატურა
32300000	ტელე და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა

[1] **იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კოდით განხორციელებული/განსახორციელებელი შესყიდვის მთლიანი ღირებულება საბიუჯეტო წლის განმავლობაში აჭარბებს 10 000 ლარს.**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

32400000	ქსელები
34100000	ავტოსატრანსპორტო საშუალებები
34200000	სატრანსპორტო საშუალებების ძარები, მისაბმელები ან ნახევრადმისაბმელები
35410000	ჯავშნიანი სამხედრო მანქანები
37300000	მუსიკალური ინსტრუმენტები და ნაწილები
39100000	ავეჯი[1]
39700000	საოჯახო ტექნიკა[1]
42400000	აბრე და გადასაზიდი მოწყობილობები და მათი ნაწილები
42511000	ხითბოგაცვლითი დანადგარები და ჰაერის ან სხვა გაზების გასათხევადებელი მოწყობილობები
42512000	ჰაერის კონდიცირების საშუალებები
42900000	სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარები
43100000	სამთო მანქანა-დანადგარები
43200000	ძირის სათხრელი და სახაპავი მანქანები და მათი (მათთან დაკავშირებული) ნაწილები
43300000	სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები
43500000	მუხლუხა სატრანსპორტო საშუალებები
48100000	პროგრამული უზრუნველყოფის საბრუნველი პაკეტები
48200000	ქსელების, ინტერნეტისა და ინტრანეტის პროგრამული პაკეტები
48500000	კომუნიკაციო და მულტიმედიის პროგრამული პაკეტები
48600000	მონაცემთა ბაზისა და ოპერაციული პროგრამული პაკეტები
48800000	საინფორმაციო სისტემები და სერვერები
48900000	სხვადასხვა სახის პროგრამული პაკეტები და კომპიუტერული სისტემები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №96

2019 წლის 19 თებერვალი, ქ. თბილისი

„აბონენტების მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 აგვისტოს №418 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს; 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „აბონენტების მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 აგვისტოს №418 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/08/2016, 010110020.10.003.019483) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და 4^1 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტომ უზრუნველყოს:

ა) ფიზიკური პირების „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ აბონენტებად განსაზღვრა შესაბამისი ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატ(ებ)ის მიერ მიწოდებული, საკუთარი აბონენტების (საყოფაცხოვრებო მომხმარებლების) პირადი ნომრების, გვარებისა და აბონენტის ნომრების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში ყოველი თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით არსებულ მონაცემებთან – პირად ნომრებსა და გვარებთან შედარების საფუძველზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ყველა აბონენტის (მიუხედავად ერთი ფიზიკური პირის აბონენტად რეგისტრაციის რაოდენობისა) მიერ ყოველთვიურად (30 კალენდარული დღე) მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების 50%-ის ოდენობით ანაზღაურება, შესაბამისი პერიოდის ფაქტობრივი მოხმარების ოდენობიდან გამომდინარე, ნორმატიული აქტით მისადაგებული სამომხმარებლო ტარიფით გაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ერთ აბონენტზე თვეში 100 კვტ. სთ ელექტროენერგიის საფასურისა. ანაზღაურება განხორციელდეს შესაბამისი ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის მიერ წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე.

მუხლი 2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრზე წვდომა.

მუხლი 3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და ფინანსთა სამინისტროებმა უზრუნველყონ შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესასრულებლად საჭირო სახსრების გათვალისწინება.

მუხლი 4. ამ დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ეთხოვოს/ეთხოვოთ შესაბამისი ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატ(ებ)ს „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტების (საყოფაცხოვრებო მომხმარებლების) შესახებ ინფორმაციის (პირადი ნომრები, გვარები და აბონენტის ნომრები) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის წარდგენა.

მუხლი 4^1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო არ არის უფლებამოსილი, მოახდინოს დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ანგარიშის (ასანაზღაურებელი თანხა) და მე-4 მუხლით წარდგენილი მონაცემების სისწორის შემოწმება და/ან რაიმე სახის კორექტირება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №103

2019 წლის 19 თებერვალი, ქ. თბილისი

„იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს; 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №112 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/03/2016, 080080040.10.003.019177) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის“ (დანართი №1):

1. **პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ (შემდგომში – საზედამხედველო ორგანო) კერძო და სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში (შემდგომში – დაწესებულება) იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოსავლენად სახელმწიფო ზედამხედველობის (შემდგომში – ზედამხედველობა) განხორციელების წესს.“.

2. **მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) გეგმური ზედამხედველობა ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ყოველწლიური გეგმის მიხედვით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას შესამოწმებელი დაწესებულების შერჩევის წესის, რაოდენობის, შემოწმების რიგითობისა და შემოწმების ვადების შესახებ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გეგმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც უკავშირდება იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების არსებობის მაღალ ალბათობას, საწარმოს სიდიდეს, დასაქმებულთა რაოდენობას;".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №105

2019 წლის 19 თებერვალი, ქ. თბილისი

„სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის (3024-რს, 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებაში (სსმ, 2007, მუხლი 35) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი უფლებამოსილია, ამ დადგენილებით განსაზღვრული ნორმების უზრუნველსაყოფად, გამოსცეს დადგენილების იმპლემენტაციისათვის საჭირო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.''.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის, მისი დანიშვნა-გაცემის წესისა და პრინციპების"**:

ა) **მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„მუხლი 3. ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნას, გაცემას, შეწყვეტასა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა რეგულირებას.“;

ბ) მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებთა კონტინგენტის მოძრაობისა და დაფინანსების მდგომარეობის შესახებ კრებსითი ინფორმაციის წარდგენას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანხების გაცემიდან ორი კვირის განმავლობაში;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №106

2019 წლის 19 თებერვალი, ქ. თბილისი

„სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №510 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს, 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №510 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/11/2016, 240110000.10.003.019576) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის“ პირველი მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის ავტორიზაციას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №107

2019 წლის 19 თებერვალი, ქ. თბილისი

„მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა დამატებითი სოციალური გარანტიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 მაისის №250 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს, 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა დამატებითი სოციალური გარანტიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 მაისის №250 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/05/2018, 280080020.10.003.020565) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**მუხლი** 2. დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული სოციალური დახმარების ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).“.

2. **მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**მუხლი** 4. სოციალური დახმარების დაფინანსების წყაროა შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილი სახსრები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №110

2019 წლის 19 თებერვალი, ქ. თბილისი

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს, 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/03/2013, 270220000.10.003.017209) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**მუხლი** 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დამტკიცდეს:

1. შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი (დანართი №1).

2. უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი (დანართი №2).“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ (დანართი №1) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**მუხლი 3. დახმარების ადმინისტრირება**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დახმარების ადმინისტრირების ორგანო არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომლის უფლება-მოვალეობებია:

ა) დახმარების გაცემის ორგანიზება;

ბ) თავის საქმიანობაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფისა და მართვის ავტომატიზებული საშუალებების, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება (ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალურ დოკუმენტს);

გ) დახმარების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების რეგულირება.“.

3. **დადგენილებით დამტკიცებული „უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესის“ (დანართი №2) მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. კომისიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) დირექტორი – კომისიის თავმჯდომარე, სააგენტოს დირექტორის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სააგენტოს სხვა წარმომადგენლები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს ფინანსთა, საქართველოს იუსტიციის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების წარმომადგენლები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №33

2019 წლის 7 თებერვალი, ქ. თბილისი

„სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის №22 დადგენილებაში (სსმ, №10, 28/01/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების“:

1. **მე-2 მუხლის**:

ა) **„ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) **სამინისტრო** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ბ) **სააგენტო** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო;“;

ბ) **„დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„დ) **მატერიალიზებული ვაუჩერი** – სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურების ასანაზღაურებლად გამოყენებული მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს. ვაუჩერი განკუთვნილია მომსახურების დაფინანსებისათვის ერთი წლის განმავლობაში და შედგება ცალკეული თვისათვის განკუთვნილი 12 ტალონისაგან, რომლის ფორმა მტკიცდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირის სააღმზრდელო დაწესებულებაში (გარდა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრისა), აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭო.“;

ბ) მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით დაფინანსებისას ბენეფიციარისათვის გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად, მომსახურების მიმწოდებელი სააგენტოს, ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად, წარუდგენს ვაუჩერის შესაბამის ტალონს, რის საფუძველზეც სააგენტო უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების დაფინანსებას. ამასთან, მომსახურების მიმწოდებლის მიერ ვადის დარღვევით წარდგენილი ვაუჩერის ტალონი დაფინანსებას არ ექვემდებარება. ვაუჩერის ერთ ტალონზე თვეში ასანაზღაურებელი თანხა შშმ პირთა (მ.შ. ბავშვთა) დღის ცენტრში შეადგენს 290 ლარს, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთა დღის ცენტრში – თვეში 480 ლარს, ხოლო 6-იდან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა დღის ცენტრის შემთხვევაში – ასანაზღაურებელი თანხა გაიანგარიშება დღიური დაფინანსების ოდენობის ნამრავლით მომსახურების მიღების თვის კალენდარული დღეების (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გამოკლებით) რაოდენობაზე. ამასთან:

ა) თუ ბენეფიციარის (ბენეფიციარების) მიერ ნებისმიერი მიზეზით გაცდენილ (გარდა არდადეგებისა) დღეთა რაოდენობა 12 ან მეტია, ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხა გამოიანგარიშება ბენეფიციარის მიერ მიღებული მომსახურების დღეების ნამრავლით 13 ლარზე – შშმ პირთა (მ.შ. ბავშვთა) დღის ცენტრის შემთხვევაში – 22 ლარზე – მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთა შემთხვევაში, ხოლო 6-იდან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა დღის ცენტრის შემთხვევაში, გაცდენილ დღეთა რაოდენობა 5-ზე მეტია, ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხა გაიანგარიშება ბენეფიციარის მიერ მიღებული მომსახურების დღეების ნამრავლით დღიური ანაზღაურების ოდენობაზე;

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია, არაუგვიანეს მომსახურების გაწევის თვის 15 რიცხვის ჩათვლით, სააგენტოს წარუდგინოს მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დათარიღებული და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ბენეფიციარის მიერ მომსახურების მიღების წინა თვეში შესაბამისი დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობის მონაცემები, რაც დადასტურებული უნდა იყოს ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის ხელმოწერით (2019 წლის 1 სექტემბრამდე);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) მიმწოდებელი ვალდებულია, არაუგვიანეს მომსახურების გაწევის მომდევნო თვის 10 რიცხვის ჩათვლით, სააგენტოს წარუდგინოს მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დათარიღებული და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ბენეფიციარის მიერ მომსახურების მიღების თვეში შესაბამისი დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობის მონაცემები, რაც დადასტურებული უნდა იყოს ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის ხელმოწერით. ასევე სააგენტოს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევის წინა თვის ტალონები. ვაუჩერი ანაზღაურებას ექვემდებარება მომსახურების გაწევის მომდევნო თვის 20 რიცხვის ჩათვლით. ამასთან, მომსახურების მიმწოდებლის მიერ ამ ვადის დარღვევით წარდგენილი ვაუჩერის ტალონი დაფინანსებას არ ექვემდებარება (2019 წლის 1 სექტემბრიდან);

დ) დღის ცენტრის მომსახურება ბენეფიციარებს სტაბილურად მიეწოდებათ ყოველდღიურად, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა. ასევე დასაშვებია მუშაობის დროებითი წყვეტა არდადეგების სახით – წლის განმავლობაში არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა. მიმწოდებლის მიერ გამოცხადებული არდადეგების დღეები არ ანაზღაურდება.

7. არამატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით დაფინანსებისას, სააგენტო უზრუნველყოფს მცირე საოჯახო ტიპის სახლში, სათემო ორგანიზაციაში ბენეფიციარისათვის გაწეული მომსახურების ანაზღაურებას მომსახურების მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვის ჩათვლით და ვაუჩერის თვეში ასანაზღაურებელი თანხა გაიანგარიშება დღიური დაფინანსების ოდენობის ნამრავლით მომსახურების მიღების თვის კალენდარულ დღეთა რაოდენობაზე, ხოლო დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ბენეფიციარისათვის გაწეული მომსახურების ანაზღაურებას, არაუგვიანეს მომსახურების გაწევის მომდევნო თვის ბოლომდე, მომსახურების მიღების თვეში ბენეფიციარის მიერ მიღებული მომსახურების დღეების რაოდენობაზე. ამასთან, მომსახურების თვეში ფუნქციონირებად მცირე საოჯახო ტიპის სახლში შეუვსებელი, ლიმიტით განსაზღვრული ადგილები ანაზღაურდება დღეში 10 ლარით, მაგრამ არა უმეტეს ლიმიტით განსაზღვრული ადგილების 50%-ისა.“.

3. **მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 4. მომსახურების დაფინანსების (თანადაფინანსების) პირობები და სამიზნე ჯგუფები

1. ქვემოთ ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ხანდაზმულთა პანსიონატში, შშმ პირთა პანსიონატსა და სათემო ორგანიზაციაში გაწეული მომსახურების დაფინანსება (თანადაფინანსება) მოხდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) ბენეფიციარები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ამ პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ არცერთ კატეგორიას, გაწეული მომსახურების საფასურს იხდიან საკუთარი სახსრებით, სრულად – დღეში 16 ლარის ოდენობით, სათემო ორგანიზაციებში – 20 ლარს, სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის კომპონენტის ბენეფიციარები – დღეში 30 ლარის ოდენობით.

2. სააღმზრდელო დაწესებულებასა და დედათა და ბავშვთა თავშესაფარში გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ სრულად. ამასთან, სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის ფლობა არ უკავშირდება სახელმწიფო დაფინანსების ვალდებულებას.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ 18 წელს ზემოთ შშმ პირების დღის ცენტრში გაწეული მომსახურება დაფინანსდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებს, რომელთა სარეიტინგო ქულა სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის არ აღემატება 100 000-ს – გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად, თვეში 290 ლარის ოდენობით;

ბ) დანარჩენ შშმ პირებს გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ 80%-ით – თვეში 232 ლარის ოდენობით, ხოლო გაწეული მომსახურების თანადაფინანსებისათვის იხდიან თვეში 58 ლარს. ამასთან, თუ წინა თვეში ბენეფიციარის (ბენეფიციარების) მიერ ნებისმიერი მიზეზით გაცდენილ (მ.შ. არდადეგებისა) დღეთა რაოდენობა 12 ან მეტია, მიმდინარე თვეში ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურების ანაზღაურებისათვის ჯამურად გადასარიცხი თანხის ოდენობა მცირდება გაცდენილი დღეების რაოდენობის ნამრავლით 10.5 ლარზე.

4. დღის ცენტრში შშმ ბავშვებს გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად, თვეში 290 ლარის ოდენობით.

5. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ბავშვთა დღის ცენტრში (გარდა მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრისა) გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ სრულად, დღეში 6 ლარის ოდენობით.

6. მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელის შშმ სტატუსის დადგენის, დაკარგვის, გაუქმების შემთხვევაში, დაფინანსება იცვლება რეგიონული საბჭოს/საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №49

2019 წლის 21 თებერვალი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-14 **მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„დ) ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებასთან, აღდგენასთან, ჩამორთმევასთან და გაუქმებასთან, მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი ფიზიკური პირისათვის რეზიდენტობის მინიჭებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების წარმართვა;“.

2. 17^2 **მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$კ^1$“ ქვეპუნქტი**:

„$კ^1$) გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრასთან დაკავშირებით სათანადო ღონისძიებების განხორციელება;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №01-15/ნ/№50

2019 წლის 21 თებერვალი, ქ. თბილისი

ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადაადგილებისათვის აუცილებელი საქონლის ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა მიწოდება, იმპორტი ან დროებითი შემოტანა გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ[1]“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებთ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადაადგილებისათვის აუცილებელი საქონლის ნუსხა, რომელთა მიწოდება, იმპორტი ან დროებითი შემოტანა გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი გადაადგილებისათვის აუცილებელი საქონლის ნუსხა, რომელთა მიწოდება, იმპორტი ან დროებითი შემოტანა გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე

სეს ესნ კოდი	საქონლის დასახელება
3926 90 980 00	ტაქტილური ბილიკები უსინათლოთათვის – პლასტმასის, რეზინის, ბუნებრივი ქვის, ხელოვნური ქვის, კერამიკის, მინაკერამიკის, შავი ლითონის ან ალუმინის
4008 21 100 00	
6802	
6810 19 310 00 6810 19 390 00	
6907 6908	
7016 90 800 00	
7326 90 980 00	
7606	
6602 00 000 00	უსინათლოთა ხელჯოხი
6815 10 100 00 7616 99 900 00	მობილური პანდუსები ალუმინის ან კარბონის
7616 99 900 00	ასაწყობი მოდულარული პანდუსები ალუმინის
8428 90 950 00	კიბის პლატფორმული ლიფტი გადაადგილების სიჩქარით არაუმეტეს 0,10-0,15-ისა
8428 10 200 00 8428 10 800 00	სავარძელ-ეტლის ვერტიკალური აწევა (მათ შორის, ელექტრონული მართვის) გადაადგილების სიჩქარით არაუმეტეს 0,10-0,15-ისა
8428 90 950 00	აწევა პიროვნების ტრანსფერისათვის
8479 89 970 00	სავარძელ-ეტლის კიბეზე ტრანსპორტიორი
8713 10 000 00 8713 90 000 00	საევაკუაციო სავარძელ-ეტლი (მათ შორის, მექანიკური მოწყობილობების გარეშე)
9021 10 100 00	ინდივიდუალური სასიარულო ჩარჩო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №58

2019 წლის 28 თებერვალი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე პრივატიზების, რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის №125 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე პრივატიზების, რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის №125 ბრძანებაში (ვებგვერდი, 16/06/2016, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016876) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების პრივატიზების, აგრეთვე სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესს“ (დანართი №2) დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 მუხლი:

„მუხლი 4^1. იურიდიული ან ფიზიკური პირის/გადასახადის გადამხდელისათვის დასაბრუნებელი თანხა

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების შესაბამისად, სააგენტოს მიერ პირის/გადასახადის გადამხდელისათვის შესაბამისი თანხის დაბრუნება ხორციელდება ქონების პრივატიზების/რეალიზაციის/ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხიდან.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების პრივატიზების, აგრეთვე სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების კვარტალური ანგარიშის ფორმა“ (დანართი №3) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

დანართი №3

განსაკარგავად გადაცემული ქონების პრივატიზების, აგრეთვე სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების გაანგარიშება 20 ------ წლის --- კვარტალის მდგომარეობით

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№	დასახელება	საანგარიშო კვარტალი	წლის დასაწყისიდან
1	2	3	4
1	ბიუჯეტის კუთვნილი თანხის გარდამავალი ნაშთი (+/-)		
2	ქონების პრივატიზების/რეალიზაციის/ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის ოდენობა		
3	საგენტოს შემოსავალი ამონაგები თანხიდან		
4	„საღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი აღსრულების საფასური		
5	„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების შესაბამისად, საგენტოს მიერ იურიდიული ან ფიზიკური პირის/გადასახადის გადამხდელისათვის დაბრუნებული თანხა		
6	საბრუნავი სახსრების გარდამავალი ნაშთი		
7	გადარიცხულია ბიუჯეტში (თანხა ლარებში)		
8	სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ფულადი თანხა		
9	დარიცხულია ბიუჯეტის სასარგებლოდ (2-3-4-5-6+8) (თანხა ლარებში)		
10	ექვემდებარება ბიუჯეტში გადარიცხვას (9+1-7) (თანხა ლარებში)		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №59 / №20

2019 წლის 28 თებერვალი, ქ. თბილისი

,,საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №985-№1187 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებთ**:

მუხლი 1

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №985-№1187 ერთობლივი ბრძანებით (სსმ III, №172, 31.12.2010) დამტკიცებული წესის მე-16 მუხლის 1^4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^5 პუნქტი:

„1^5. ცალკეულ შემთხვევებში, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის/მფლობელის მომართვისას, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს N2 კატეგორიის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების პრიორიტეტული წესით გაშვება, ამ მუხლის 1^2 პუნქტით გათვალისწინებული ან სხვა ვადის განსაზღვრითა და „საბაჟო გამშვებ პუნქტებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში“ სათანადო აღნიშვნით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

გიორგი გახარია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №41/ნ

2019 წლის 26 თებერვალი, ქ. თბილისი

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების დანამატების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატების მასწავლებლებზე გაცემის მიზნით საჯარო სკოლებისათვის ყოველთვიურად დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 18 დეკემბრის №163/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების დანამატების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატების მასწავლებლებზე გაცემის მიზნით საჯარო სკოლებისათვის ყოველთვიურად დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 18 დეკემბრის №163/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 18/12/2015; ს/კ: 430110000.22.022.017070) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების დანამატების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატების მასწავლებლებზე გაცემის მიზნით საჯარო სკოლებისათვის ყოველთვიურად დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის:

1. **მე-2 მუხლის მეორე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი**:

„3. საჯარო სკოლებს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი დაფინანსების გარდა ყოველთვიურად გამოეყოფა დამატებით დაფინანსება „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუქტით გათვალისწინებული საპენსიო შენატანი, დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით.“

2. **მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ საჯარო სკოლებისათვის ამ წესის მე-2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული დამატებითი დაფინანსების გამოყოფის მიზნით, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – მართვის სისტემა), შესაბამისი თვის (გარდა სექტემბრის თვისა) 10 რიცხვის მდგომარეობით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით, შესაბამისი თვის 15 რიცხვამდე უზრუნველყოფს სამინისტროსათვის ელექტრონული ფორმით შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას:

ა) საჯარო სკოლის დასახელება და საჯარო სკოლის საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) საჯარო სკოლის საბანკო რეკვიზიტები;

გ) საჯარო სკოლის თითოეული მასწავლებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ასაკი, სქესი და მინიშნება ჩართულია თუ არა დაგროვებითი საპენსიო სქემაში, სქემით განსაზღვრული სტატუსი, შესაბამისი საათობრივი დატვირთვის, ანაზღაურებისა და კუთვნილი დანამატის გაანგარიშებული ოდენობის მითითებით.“.

3. **მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 5. საჯარო სკოლა ვალდებულია სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე დააბრუნოს ამ წესით გათვალისწინებული დამატებითი დაფინანსების ფარგლებში, შესაბამისი თვის განმავლობაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობის შეჩერების ან შეწყვეტის ან/და სხვა მიზნით წარმოქმნილი აუთვისებელი თანხა.“.

4. **მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარის მე-4-მე-5 პუნქტები**:

„4. ამ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საჯარო სკოლის მასწავლებლის საპენსიო სქემაში ჩართვასთან დაკავშირებით, არსებული ინფორმაციის სამინისტროსთვის მიწოდება მართვის სისტემამ უზრუნველყოს 2019 წლის აპრილიდან;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. მართვის სისტემამ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით, 10 თებერვლის მდგომარეობით, უზრუნველყოს სამინისტროსათვის ელექტრონული ფორმით ამ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის (გარდა ინფორმაციისა საჯარო სკოლის მასწავლებლის საპენსიო სქემაში ჩართვასთან დაკავშირებით) 2019 წლის 28 თებერვლამდე მიწოდება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №45/04

2019 წლის 26 თებერვალი, ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) დაარღვია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის, მის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების, წერილობითი მითითებების და შემოწმების შედეგად განსაზღვრული მოთხოვნები ან/და არ შეასრულა სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის (შემდეგში – ფინანსური მონიტორინგის სამსახური) მითითებები.

2. მე-2 მუხლის:

ა) მე-8 პუნქტი ამოღებულ იქნას;

ბ) მე-10 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-11 პუნქტი:

„11. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ამ წესის 2^1 მუხლით განსაზღვრულ დარღვევებზე.“.

3. მე-2 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 2^1 მუხლი:

„მუხლი 2^1. ფულადი ჯარიმები უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, მის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების, წერილობითი მითითებების, შემოწმების/ზედამხედველობის შედეგად განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის ან/და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითებების შეუსრულებლობისათვის

1. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების, წერილობითი მითითებების, შემოწმების შედეგად განსაზღვრული მოთხოვნების ან/და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითებების შეუსრულებლობით გამოწვეული დარღვევები იყოფა სამ კატეგორიად:

ა) განსაკუთრებით მძიმე დარღვევები;

ბ) მძიმე დარღვევები;

გ) ნაკლებად მძიმე დარღვევები.

2. განსაკუთრებით მძიმე დარღვევისათვის კომერციული ბანკი ჯარიმდება შემდეგი ოდენობით:

ა) დადგენილ ვადებში ფინანსური მონიტორინგის სამსახურში პირველადი აღრიცხვის ფორმის წარუდგენლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ანგარიშგების ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილ ვადებში წარუდგენლობა – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

გ) გარიგების (ოპერაციის) აღსრულების შეჩერების თაობაზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითების შეუსრულებლობისთვის – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლო ბრძანების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში – 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით თითოეულ ასეთ ყადაღასთან მიმართებაში;

ე) AML/CFT მიზნებისათვის პროგრამული (ელექტრონული) სისტემის (რომელიც უზრუნველყოფს დანაწევრებული ოპერაციების (გარიგებების) გამოვლენას ან/და პირის ავტომატურ გადამოწმებას პოლიტიკურად აქტიურ პირთა და ტერორისტთა/ტერორიზმთან დაკავშირებულ პირთა სიაში) არქონის შემთხვევაში – 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით;

ვ) კომერციული ბანკის შემოწმების პროცესში ეროვნული ბანკისთვის მხარეთა შორის შემოწმების პერიოდში გაფორმებული შეთანხმების თითოეული პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შემოწმების ვადის დასრულებამდე წარმოუდგენლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, შეთანხმების თითოეული პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოუდგენლობისათვის;

ზ) კომერციული ბანკის შემოწმების თაობაზე ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შემოწმების პერიოდში შემმოწმებელთა ჯგუფისათვის ხელის შეშლა, რამაც გამოიწვია შემოწმების განხორციელების შეფერხება, გამოიწვევს დაჯარიმებას 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით;

თ) დისტანციური შემოწმების/ზედამხედველობის შედეგად წერილობით განსაზღვრული მოთხოვნების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეული შეუსრულებელი მოთხოვნის გამოვლენის ფაქტზე;

ი) ადგილზე შემოწმების შედეგად კომერციული ბანკისათვის წერილობით განსაზღვრული მოთხოვნების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობა – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეული შეუსრულებელი მოთხოვნის გამოვლენის ფაქტზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კ) კლიენტის ან/და ოპერაციების (გარიგების) შესახებ ინფორმაციის სპეციალური პროგრამული (ელექტრონული) სისტემის საშუალებით აღურიცხაობა – 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტთან მიმართებაში;

ლ) კლიენტებისათვის ანონიმური/ნომრიანი ანგარიშ(ებ)ის გახსნა გამოიწვევს დაჯარიმებას 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

მ) კომერციული ბანკის შემოწმების თაობაზე ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შემოწმების დაწყების თარიღისათვის საეჭვო გარიგების (ოპერაციის) შესახებ ანგარიშგების ფორმის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაუცემლობა – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.

3. მძიმე დარღვევებისათვის ბანკი ჯარიმდება:

ა) ბენეფიციარი მესაკუთრის ან/და მფლობელობის და მმართველობის (კონტროლის) განმახორციელებელი სტრუქტურის დადგენის გარეშე პირისთვის მომსახურების გაწევის გამოვლენის შემთხვევაში – 1 500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

ბ) პირის (მისი წარმომადგენლის და მარწმუნებლის, აგრეთვე მესამე პირის, თუ გარიგება იდება (ოპერაცია სრულდება) მესამე პირის სასარგებლოდ) ან/და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის გარეშე მომსახურების გაწევის გამოვლენის შემთხვევაში – 1 500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე. ბენეფიციარ მესაკუთრესთან მიმართებაში ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ აღნიშნულ ბენეფიციარ მესაკუთრესთან დაკავშირებით ბანკი ჯარიმდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

გ) კომერციული ბანკის შემოწმების თაობაზე ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შემოწმების დაწყების თარიღისათვის კლიენტს არ აქვს რისკი მინიჭებული – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ კლიენტთან მიმართებაში;

დ) რისკის შესაბამისად კლიენტის/ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის განუახლებლობა ან/და ხელმძღვანელობისგან პირთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების ან/და გაგრძელების თაობაზე ნებართვის მიუღებლობა (გარდა პოლიტიკურად აქტიური პირისა) გამოიწვევს დაჯარიმებას – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

ე) პოლიტიკურად აქტიურ პირთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ პირთან მიმართებაში;

ვ) კლიენტისათვის რისკის მინიჭება საქართველოს კანონმდებლობის, რისკის შეფასების თაობაზე ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით ან/და კომერციული ბანკის შიდა პოლიტიკა/პროცედურებით განსაზღვრული შესაბამი რისკფაქტორების გათვალისწინების გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ კლიენტთან მიმართებაში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ) კლიენტთან მიმართებაში კომერციული ბანკი არ ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად გარიგების ან/და ქონების (ფულადი სახსრების) წარმომავლობის შესწავლას – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით თითოეულ კლიენტთან მიმართებაში;

თ) კლიენტის საქმიანობის არსის ან/და საქმიანი ურთიერთობის მიზნის და განზრახული ხასიათის დაუდგენლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ კლიენტთან მიმართებაში;

ი) კომერციულ ბანკს არ აქვს შემუშავებული შიდა კონტროლთან დაკავშირებული პოლიტიკა/პროცედურები ან/და ინსტრუქციები/წესები – 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით თითოეულ შეუმუშავებელ პოლიტიკა/პროცედურა ან/და ინსტრუქცია/წესთან მიმართებაში;

კ) საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარება/წარმოება რესპოდენტი ფინანსური ინსტიტუტის მიმართ კანონმდებლობით ან/და ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით/მოთხოვნებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევით გამოიწვევს დაჯარიმებას – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ რესპოდენტ ფინანსურ ინსტიტუტთან მიმართებაში;

ლ) კომერციული ბანკის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების საქართველოს ეროვნული ბანკისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით;

მ) კომერციული ბანკის შემოწმების თაობაზე ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შემოწმების დაწყების თარიღისათვის, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგების ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარუდგენლობის ან კომერციული ბანკის ხელთ არსებული ინფორმაციის არასწორად წარდგენის გამოვლენის შემთხვევაში – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

ნ) კომერციული ბანკის შემოწმების თაობაზე ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შემოწმების დაწყების თარიღისათვის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ანგარიშგების გაგზავნისას კომერციული ბანკის ხელთ არსებული ინფორმაციის არასწორად წარდგენა – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით თითოეულ არასწორად წარდგენილ ანგარიშგებასთან მიმართებაში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ო) კომერციული ბანკის შემოწმების თაობაზე ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შემოწმების დაწყების თარიღისათვის, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული ანგარიშგების ერთი ფორმით ორი ან მეტი მონიტორინგს დაქვემდებარებული ოპერაციის/გარიგების (გარდა საეჭვო ოპერაციების/გარიგებების) შესახებ ინფორმაციის წარდგენის გამოვლენის შემთხვევაში 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, მონიტორინგს დაქვემდებარებულ თითოეულ ოპერაციაზე (გარიგებაზე);

პ) ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ან/და დოკუმენტების განსაზღვრულ ვადებში წარუდგენლობის ან კომერციული ბანკის ხელთ არებული დოკუმენტების/ინფორმაციის არასწორად წარდგენის გამოვლენის შემთხვევაში – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

ჟ) კომერციული ბანკის შემოწმების პროცესში ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა მხარეთა შორის შემოწმების პერიოდში გაფორმებული შეთანხმების თითოეული პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილებით ან/და კომერციული ბანკის ხელთ არსებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის არასწორად წარმოდგენა გამოიწვევს დაჯარიმებას – 5 000 (ხუთ ათასი) ლარის ოდენობით, შეთანხმების თითოეული პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის ვადაგადაცილებით ან არასწორად წარმოდგენის შემთხვევაში;

რ) „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრაძნებით დამტკიცებული ინსტრუქციით განსაზღვრული უშუალო იდენტიფიკაციის გარეშე ანგარიშების გახსნასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით თითოეულ კლიენტთან მიმართებაში;

ს) „საგადახდო ბარათების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის 2011 წლის 16 მაისის №38/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს ბანკის დაჯარიმებას 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით თითოეულ არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათთან მიმართებაში;

ტ) ადმინისტრატორი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნებისათვის შიდა კონტროლისა ან/და მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას ან/და ეროვნული ბანკის წერილობითი მითითებების ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას, დაჯარიმდება – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. ნაკლებად მძიმე დარღვევებისათვის ბანკი ჯარიმდება:

ა) კომერციული ბანკის შემოწმების თაობაზე ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შემოწმების დაწყების თარიღისათვის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის N4 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ანგარიშგების ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილი ვადის დაუცველად, დაგვიანებით წარდგენის გამოვლენის შემთხვევაში, დარღვევის თითოეულ ფაქტზე:

ა.ა) 5 სამუშაო დღემდე დაგვიანებისათვის – 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

ა.ბ) 5 და მეტი სამუშაო დღით დაგვიანებისათვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

ბ) პირის (მისი წარმომადგენლის და მარწმუნებლის, აგრეთვე მესამე პირის, თუ გარიგება იდება (ოპერაცია სრულდება) მესამე პირის სასარგებლოდ) ან/და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების (გარიგებების) შესახებ სათანადო ინფორმაციის/დოკუმენტაციის აღრიცხვისათვის ან/და შენახვისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში –1 000 (ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

გ) ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული ადგილობრივი და საერთაშორისო ფულადი გადარიცხვის ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევით ოპერაციის განხორციელების გამოვლენის შემთხვევაში – 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

დ) კომერციული ბანკის შემოწმების თაობაზე ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შემოწმების დაწყების თარიღისათვის, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტების დადგენილი ვადის დაუცველად წარდგენის გამოვლენის შემთხვევაში, დარღვევის თითოეულ ფაქტზე:

დ.ა) 5 სამუშაო დღემდე დაგვიანებისათვის – 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

დ.ბ) 5 და მეტი სამუშაო დღით დაგვიანებისთვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

ე) კომერციული ბანკის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგებით საქართველოს ეროვნული ბანკისთვის არასწორი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში – 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) კომერციული ბანკის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების საქართველოს ეროვნული ბანკისთვის 30 კალენდარულ დღემდე დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

5. ამ პუნქტში ჩამოთვლილი დარღვევებს ეროვნული ბანკის მიერ მიენიჭება სისტემატური დარღვევის სტატუსი და გამოიწვევს კომერციული ბანკის დაჯარიმებას შემდეგი ოდენობით:

ა) კომერციული ბანკის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების საქართველოს ეროვნული ბანკისთვის განმეორებით წარმოუდგენლობა, თუ წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის ბანკი უკვე იყო დაჯარიმებული ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოიწვევს დაჯარიმებას – 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით წარმოუდგენელ ანგარიშგებაზე;

ბ) კომერციული ბანკის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების საქართველოს ეროვნული ბანკისთვის 30 დღემდე დაგვიანებით წარმოდგენა, თუ წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის ბანკი უკვე იყო დაჯარიმებული ამ მუხლის მე-4 პუნქტს „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოიწვევს დაჯარიმებას – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით თითოეულ დაგვიანებით წარმოდგენილ ანგარიშგებაზე;

გ) დისტანციური შემოწმების/ზედამხედველობის შედეგად წერილობით განსაზღვრული მოთხოვნების დადგენილ ვადაში განმეორებით შეუსრულებლობა – 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

დ) ადგილზე შემოწმების შედეგად კომერციული ბანკისათვის წერილობით განსაზღვრული მოთხოვნების დადგენილ ვადებში განმეორებით შეუსრულებლობა – 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეული შეუსრულებელი მოთხოვნის გამოვლენის ფაქტზე;

ე) კლიენტის ან/და ოპერაციების (გარიგების) შესახებ ინფორმაციის აღურიცხაობის ფაქტის განმეორებით დაფიქსირება – 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

ვ) ანონიმური/ნომრიანი ანგარიშ(ებ)ის გახსნის ფაქტის განმეორებით დაფიქსირება გამოიწვევს დაჯარიმებას – 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

ზ) ბენეფიციარი მესაკუთრის ან/და მფლობელობის და მმართველობის (კონტროლის) განმახორციელებელი სტრუქტურის დადგენის გარეშე განმეორებითი იგივე პირისთვის მომსახურების გაწევის გამოვლენის შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკი ამ პირთან მიმართებაში უკვე დაჯარიმებული იყო ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად – 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ) განმეორებით იგივე პირის (მისი წარმომადგენლის და მარწმუნებლის, აგრეთვე მესამე პირის, თუ გარიგება იდება (ოპერაცია სრულდება) მესამე პირის სასარგებლოდ) ან/და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის გარეშე მომსახურების გაწევის გამოვლენის შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკი ამ პირთან მიმართებაში უკვე დაჯარიმებული იყო ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად –3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

6. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის შემოწმების შედეგად კვლავ დაფიქსირდა ისეთი დარღვევა, რომლისთვისაც კომერციული ბანკის მიმართ ერთხელ უკვე იყო გამოყენებული ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სანქცია, ან/და გარკვეული დარღვევა (დარღვევები) კომერციული ბანკისთვის ქმნის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის სისტემურ რისკს, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციული ბანკი დააჯარიმოს ბოლო ანგარიშგების მდგომარეობით არსებული საზედამხედველო კაპიტალის არაუმეტეს 1%-ისა, მაგრამ არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობით ან/და გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 მარტიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

saqarTvelos erovnuli banki

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების შესახებ

25.02.2019

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), 2019 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით 170.2 მლნ ლარით (0.6 პროცენტით) შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.2 პროცენტით) და მიმდინარე წლის პირველი თებერვლისათვის 26.4 მლრდ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 118.7 მლნ ლარით (1.0 პროცენტით), ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 51.5 მლნ ლარით (0.3 პროცენტით) შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.5 პროცენტით გაიზარდა).

რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2019 წლის იანვრის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 3.4 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 0.4 პროცენტით ნაკლები), ხოლო უცხოური ვალუტით 8.1 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 0.9 პროცენტით მეტი) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე - 1.7 პროცენტით მეტი).

2019 წლის იანვარის განმავლობაში 1.0 პროცენტით ანუ 265.8 მლნ ლარით შემცირდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი თებერვლისათვის 13.9 მლრდ ლარი შეადგინა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფულადი გზავნილები იანვარში

15.02.2019

2019 წლის იანვარში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 115.7 მლნ აშშ დოლარი (308.4 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 5.1 პროცენტით (5.6 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2018 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92.0 პროცენტი იმ 15 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ იანვარში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 15 ქვეყანაზე გასული წლის იანვარში მთელი ფულადი გზავნილების 92.3 პროცენტი მოდიოდა.

	ფულადი გზავნილების მოცულობა (იანვარი, 2019) მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში,%	
		იანვარი, 2018	იანვარი, 2019
სულ	115.7	100.0	100.0
ევროკავშირის ქვეყნები, სულ	45.16	34.28	39.04

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მათ შორის:			
იტალია	17.54	12.49	15.16
საბერძნეთი	13.37	11.30	11.56
ესპანეთი	3.18	2.56	2.75
გერმანია	3.09	2.48	2.67
პოლონეთი	1.74	0.55	1.50
საფრანგეთი	1.69	1.12	1.46
გაერთიანებული სამეფო	1.08	1.01	0.94
დანარჩენი ქვეყნები, სულ	70.53	65.72	60.96
მათ შორის:			
რუსეთი	27.60	28.10	23.85
ისრაელი	12.34	10.65	10.66
აშშ	12.31	9.74	10.64
თურქეთი	6.85	8.00	5.92
უკრაინა	1.91	1.66	1.65
აზერბაიჯანი	1.59	1.27	1.38
ყირგიზეთი	1.29	0.29	1.11
ყაზახეთი	1.21	0.76	1.04

2019 წლის იანვარში საქართველოდან საზღვარგარეთ 15.5 მლნ აშშ დოლარი (41.3 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 15.0 მლნ აშშ დოლარისა (38.2 მლნ ლარისა) 2018 წლის იანვარში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

26.02.2019

2019 წლის 26 თებერვალს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 30 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 52 239 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.290 პროცენტით, მაქსიმალური 7.490 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.356 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.375 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

kiTxva - pasuxi

ფიზიკური პირების დაკრედიტების დებულების შესახებ

კითხვა:

რა არის ამ დებულების მიზანი?

პასუხი:

ამ დებულების მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება. სესხის გამცემი ორგანიზაცია უნდა ხელმძღვანელობდეს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპით, კერძოდ, სესხის აღების ეტაპზე მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს ისეთი ფინანსური ვალდებულება, როდესაც წინასწარ არის ცხადი, რომ მომხმარებელი მის გადახდასაც ვერ შეძლებს ჭარბი ფინანსური სირთულის გარეშე.

კითხვა:

რა იცვლება ამ რეგულაციით?

პასუხი:

ამ რეგულაციით სესხის გამცემს ევალება შეაფასოს მსესხებლის გადახდისუნარიანობა და არ გასცეს ფიზიკურ პირზე იმაზე მეტი თანხის სესხი ან დააკისროს სხვა ვალდებულება (მაგ. თავდებობა), ვიდრე ფიზიკურ პირს გადახდის რეალური შესაძლებლობა აქვს.

დებულებით გათვალისწინებულია ასევე გამონაკლისები (მაგალითად, ლომბარდული სესხების დროს შემოსავლების შეფასება აუცილებელი არ არის, თუმცა ამ შემთხვევაში, ფიზიკური პირის ვალდებულება მხოლოდ გირაოს საგნით იფარგლება);

კითხვა:

როგორ შეფასდება, თუ რა მოცულობის ვალის მომსახურება შეუძლია მსესხებელს?

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პასუხი:

რეგულაცია აწესებს სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების მაქსიმალურ ზღვრებს, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო ნორმებთან და ითვალისწინებს საქართველოს საბანკო სექტორის მახასიათებლებს.

კითხვა:

ოჯახის მთლიანი შემოსავალი თვეში 3,000 **ლარია. რა მოცულობის იპოთეკური სესხის აღებაა შესაძლებელი**? 5,000 **ლარის შემოსავლის შემთხვევაში**?

პასუხი:

სესხის მოცულობა განსხვავებული იქნება სესხის გამცემი ორგანიზაციებისა და საპროცენტო განაკვეთების მიხედვით. თუმცა, რეგულაცია სესხის გამცემს უსაზღვრავს მაქსიმალურ ლიმიტს ყოველთვიურ გადახდებზე.

მაგალითად, თუ ოჯახის შემოსავალი 3,000 ლარია, სესხის ყოველთვიური მომსახურების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1,350 ლარს 15-წლიანი სესხის შემთხვევაში და 1,650 ლარს - 5-წლიანი სესხის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ ბანკს შეუძლია გასცეს მაქსიმუმ 110 ათასი ლარის სესხი (დათვლილია 12% წლიური საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში). არსებული სტატისტიკა და საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ ამაზე მეტი ოდენობის სესხის აღების შემთხვევაში, არსებობს დიდი რისკი, რომ მსესხებელი სესხის მომსახურებას ვერ შეძლებს და, შედეგად, დაკარგავს როგორც შეძენილ ბინას, ასევე უკვე გადახდილ თანხებს ან/და სხვა ქონებასაც;

5,000 ლარის შემოსავლის შემთხვევაში, ყოველთვიური გადახდები არ უნდა აჭარბებდეს 2,500 ლარს (სესხის ვადიანობა 15 წელი), ან 3,000 ლარს, უფრო მოკლევადიანი სესხის შემთხვევაში. ანუ, გაცემული იპოთეკური სესხის მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს 210 ათასს ლარს;

კითხვა:

ეზღუდება თუ არა საკრედიტო ინსტიტუტს თავდების გამოყენება?

პასუხი:

არ ეზღუდება. სესხის გამცემს შეუძლია მსესხებელთან ერთად დამატებით ფიზიკური პირის თავდებობის გამოყენება, მაგრამ მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რისი მომსახურების რესურსიც აქვს თავდებს ამ დებულების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ თავდები პირი წარმოადგენს მსესხებელი იურიდიული პირის მმართველი ორგანოს წევრს/პარტნიორს/აქციონერს ან მათი საოჯახო მეურნეობის წევრს, თავდების მიერ საკრედიტო კოეფიციენტების დაკმაყოფილება სავალდებულო არ არის.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კითხვა:

არ გაქვთ შემოსავალი და ფლობთ მხოლოდ ერთ საცხოვრებელ სახლს. მეგობარი, რომელიც ბანკიდან სესხს იღებს, გთხოვთ ამ სესხზე თავდებად დადგომას.

პასუხი:

ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ თუ თქვენმა მეგობარმა, ნებისმიერი მიზეზის გამო, ვერ შეძლო სესხის მომსახურება, სესხის ნარჩენი ვალდებულება სრულად თქვენზე გადმოვა და თუ თქვენი შემოსავლები ამ სესხის მომსახურებისათვის საკმარისი არ არის, თქვენ დაკარგავთ ერთადერთ საცხოვრისს. გაითვალისწინეთ, რომ ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია, და ამ რეგულირებით იზღუდება, სესხის გამცემის მიერ თავდებად ისეთი პირის გამოიყენება, ვისაც სესხის მომსახურეობის საკმარისი შემოსავლები არ გააჩნია. შესაბამისად, სესხის გამცემი ასეთი თავდებობის გამოყენებას ვერ შეძლებს;

კითხვა:

თუ არ მაქვს საკმარისი შემოსავალი, შემიძლია თუ არა მყავდეს თანამსესხებელი?

პასუხი:

დიახ. თუ გაგაჩნიათ საკმარისი შემოსავალი, თქვენ არ გჭირდებათ თანამსესხებელი. თუმცა, თუ თქვენი შემოსავალი არასაკმარისია, მაშინ შეგიძლიათ თანამსესხებელად გამოიყენოთ საოჯახო მეურნეობის წევრი, რომელსაც აქვს შემოსავალი. ამ შემთხვევაში, სესხის მომსახურების კოეფიციენტში ამ თანამსესხებლის შემოსავალიც გაითვალისწინება;

კითხვა:

ეხება თუ არა ეს მოთხოვნები სესხის რესტრუქტურიზაციას იმავეან/და სხვა სესხის გამცემ ორგანიზაციაში?

პასუხი:

არა. იმისათვის, რომ არ შეიზღუდოს კონკურენცია და რესტუქტურიზაცია მოხდეს კლიენტისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობით, რესტრუქტურიზაცია ახალი სესხის აღებად არ ჩაითვლება და ამ ოპერაციებს საკრედიტო კოეფიციენტების ზღვრები არ შეეხება, თუკი არ ხდება ჯამური დავალიანების ზრდა;

კითხვა:

შეძლებს თუ არა არაფორმალურ სექტორში დასაქმებული პირი სესხის აღებას თუკი მას აქვს სტაბილური შემოსავალი, მაგრამ ეს შემოსავალი ბანკში არ ერიცხება?

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პასუხი:

დიახ, შეძლებს. რეგულირება არ კრძალავს არაფორმალური სექტორიდან ან ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავალის შემთხვევაში სესხის გაცემას. სესხის გამცემი შეაფასებს მსესხებლის შემოსავლების მოცულობას და სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას შიდა პროცედურების შესაბამისად მიიღებს; შემოსავლის ბანკში ჩარიცხვა აუცილებელი არ არის, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფორმალური სექტორიდან შემოსავლის ან ბანკში ჩარიცხვის შემთხვევაში, გამსესხებლისთვის უფრო მარტივია შემოსავლების შეფასება და, შესაბამისად, სესხის გაცილებით უკეთესი პირობით გაცემა;

კითხვა:

შესაძლებელია თუ არა სესხის აღება უცხოეთიდან ფულად გზავნილებით შემოსავლის საფუძველზე?

პასუხი:

დიახ, შესაძლებელია. რეგულაცია არ ზღუდავს ფულადი გზავნილებით მიღებული შემოსავალის შემთხვევაში სესხის გაცემას. სესხის გამცემი თქვენი შემოსავლების მოცულობას შეაფასებს მისი შიდა პროცედურების შესაბამისად და მიიღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის შესახებ;

კითხვა:

მსურს შევიძინო ბინა არსებულის რეალიცაზიით და ამ პროცესში მჭირდება სესხის აღება. შემიძლია თუ არა სესხის აღება რომელსაც დავფარავ არსებული ბინის რეალიზაციით.

პასუხი:

დიახ, თუ სესხის გაცემა ახალი ბინის შეძენის მიზნით ხდება და გირაოში ჩადებული აქტივის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი სრულად დაფარავს ახალი ბინის ხარჯს. იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი სრულად არ ფარავს ახალი ბინის ხარჯს, მსესხებელმა დარჩენილ ნაწილზე უნდა დააკმაყოფილოს სესხის მომსახურების დადგენილი კოეფიციენტი. სხვა მიზნობრიობით ლომბარდული სესხის საცხოვრებელი ბინის იპოთეკით გაცემა იზღუდება ამ რეგულაციით, რადგან თუ თქვენ არ გაქვთ შემოსავალი, ვერ შეძლებთ სესხის მომსახურებას და დაკარგავთ ერთადერთ საცხოვრისს.

გასათვალისწინებელია, რომ ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია.

კითხვა:

ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება შემოსავლების შესწავლა (მაგალითად შემოსავლს ვღებულობ უცხოეთში ან სხვა). აქვს თუ არა გამსესხებელს იპოთეკური სესხის გაცემის უფლება ახალი უძრავი ქონების შესაძენად?

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პასუხი:

დიახ, ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შესაძენი ქონების ღირებულება აკმაყოფილებს სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის 60%-იან მაჩვენებელს; მაგალითად, თუ ქონება, რომელის შეძენას აპირებთ, ღირს 100,000 ლარი, შესაძლებელია აიღოთ 60,000 ლარის სესხი. ამ შემთხვევაში მოხდება ამ ახალი ქონების დაგირავება.

კითხვა:

გაქვთ შემოსავალი და ასევე ფლობთ ერთ საცხოვრისს. შესაძლებელია თუ არა ამ ბინის გირაოში ჩადება/იპოთეკით დატვირთვა და სესხის აღება?

პასუხი:

დიახ, შეგიძლიათ სესხის აღება იმ მოცულობით, რაც დააკმაყოფილებს რეგულაციის მიხედვით განსაზღვრულ საკრედიტო კოეფიციენტებს;

კითხვა:

ხართ ფიზიკური პირი, იღებთ სესხს ბიზნეს (მაგ. სოფლის მეურნეობის ან ტურიზმის) მიზნობრიობით. უნდა აკმაყოფილებდეთ თუ არა ამ დებულებით განსაზღვრულ კოეფიციენტებს?

პასუხი:

არა. სესხის გამცემმა უნდა შეაფასოს ფიზიკური პირის შემოსავალი და განსაზღვროს სესხის მოცულობა მისი შიდა პროცედურების შესაბამისად ისე, რომ მსესხებლის ჭარბვალიანობა არ გამოიწვიოს.

კითხვა:

იზღუდება თუ არა უმრავი ქონების შეძენა შემდგომი გაქირავებისათვის?

პასუხი:

არა. სესხის გამცემმა გონივრული პრინციპებით უნდა შეაფასოს მსესხებლის არსებული შემოსავალი და შიდა პროცედურებით განსაზღვროს სესხის მოცულობა.

კითხვა:

რეგულირდება თუ არა ამ დებულებით ე.წ. სტარტაპ და სტუდენტური სესხები?

პასუხი:

სესხის გამცემმა უნდა შეათანხმოს ეროვნულ ბანკთან შიდა პოლიტიკა/პროცედურებით და გასცეს იმ მოცულობის სესხი, რომელიც არ გამოიწვევს პირის ჭარბვალიანობას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კითხვა:

ეხება თუ არა ეს შეზღუდვები ე.წ. "მევახშეებს"?

პასუხი:

დიახ. 2019 წლის 1 იანვრიდან რეგულაცია გავრცელდება ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ყველა იმ სუბიექტზე, ვინც სესხს 20-ზე მეტ პირზე გასცემს;

კითხვა:

შესაძლებელი იქნება თუ არა ფინანსური ინსტრუმენტებით (ისეთებით, როგორიცაა დეპოზიტი და ფასიანი ქაღალდი) სრულად უზრუნველყოფილი სესხის აღება?

პასუხი:

დიახ. იმ შეთხვევაშიც კი, თუ არ გაქვთ შემოსავალი და არ გერიცხებათ ხელფასი, ფინანსური ინსტრუმენტებით (ისეთებით, როგორიცაა დეპოზიტი და ფასიანი ქაღალდი) უზრუნველყოფილი სესხის აღება შესაძლებელი იქნება.

კითხვა:

იკრძალება თუ არა ე.წ. ლომბარდულ სესხები?

პასუხი:

არა. თუმცა, სესხის გამცემის მოთხოვნა შემოფარგლული იქნება მხოლოდ უზრუნველყოფაში წარმოდგენილი მოძრავი ქონებით და ვეღარ მოხდება კლიენტის სხვა ქონებაზე გადახდევინების მიქცევა/დასაკუთრება;

კითხვა:

შეუძლია თუ არა სესხის გამცემ ორგანიზაციას გასცეს სესხი ამ დებულებიდან განსხვავებული პირობებით?

პასუხი:

დიახ. თუმცა, ამისათვის სესხის გამცემმა ორგანიზაციამ წინასწარ უნდა მიიღოს ეროვნული ბანკის თანხმობა, რათა გამოირიცხოს მსეხებლისათვის შემოსავლების შეუსაბამო საკრედიტო ტვირთს დაკისრება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კითხვა:

გაქვთ თუ არა უცხოურ ვალუტაში სესხის აღების შესაძლებლობა, თუკი შემოსავალს იღებთ ლარით?

პასუხი:

დიახ. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ უცხოური ვალუტის სესხს აქვს სავალუტო და საპროცენტო რისკები. თუ სესხს ევროთი აიღებთ და შემდგომ ევრო ლარის მიმართ მნიშვნელოვნად გამყარდება, მაშინ თქვენი სესხის გადახდებიც გაიზრდება და, შესაძლებელია, სესხს ვეღარ მოემსახუროთ. აქედან გამომდინარე, დებულება უცხოური ვალუტის სესხებზე უფრო მკაცრ საკრედიტო კოეფიციენტებს აწესებს, რაც ქმნის დაცვის აუცილებელ ბუფერს სავალუტო რისკების მატერიალიზაციის შემთხვევაში.

კითხვა:

შემოსავალს იღებთ ლარში, მაგრამ ის ინდექსირებულია უცხოურ ვალუტაზე ხელფასის გადახდის დღის კურსით. შესაძლებელია თუ არა სესხის აღება ამ უცხოურ ვალუტაში?

პასუხი:

დიახ, შესაძლებელია. თუ ხელფასის გადამხდელ ორგანიზაციას არ აქვს სავალუტო რისკი (მაგ. საერთაშორისო ორგანიზაციაა), მაშინ შესაძლებელია სესხი აიღოთ იმავე კოეფიციენტების გამოყენებით, რაც ლარში სესხის აღების შემთხვევაში მოქმედებს. ხოლო თუ ორგანიზაციას აქვს სავალუტო რისკი, მაშინ თქვენ ითვლებით ე.წ. არაჰეჯირებულ მსესხებელად, რის გამოც გამოყენებული იქნება შესაბამისი (უფრო დაბალი) კოეფიციენტი.

კითხვა:

როგორ ითვლება PTI რევოლვირებად პროდუქტებზე მაგალითად ოვერდაფტზე ან საკრედიტო ბარათებზე?

პასუხი:

ასეთი სესხის მომსახურების კოეფიციენტი დაიანგარიშება ჯამური ლიმიტის მოცულობის ანუიტეტური წესით 4-წლიან პერიოდზე გადათვლით. მაგალითად, თუ თქვენი ოვედრაფტის ჯამური ლიმიტი არის 1,000 ლარი, PTI-ის მიზნებისათის ყოველთვიურ გადასახდელებში გაითვალისწინება დაახლოებით 28 ლარი (დათვლილია 15% წლიური საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კითხვა:

დასაქმებული ვარ აგრო სექტორში (გათავისუფლებული ვარ 200 000-მდე საშემოსავლო გადასახადისგან), ანგარიშსწორება მაქვს ნაღდი ფულით და არა ჩარიცხვით. შევძლებ თუ არა შემოსავლის დადასტურებას და სესხის აღებას?

პასუხი:

დიახ. სესხის გამცემმა უნდა შეაფასოს ფიზიკური პირის შემოსავალი მისი შიდა პროცედურების შესაბამისად და განსაზღვროს სესხის მოცულობა ისე, რომ მსესხებლის ჭარბვალიანობა არ გამოიწვიოს.

კითხვა-პასუხი მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის მიხედვით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com